Администратор	Администратор комплекса	Право предоставляет возможности: получать извещения о приходе и отправке сообщений; удалять входящие и исходящие сообщения (при наличии права работы с некорректными сообщениями); редактировать справочник служб и пользователей; создавать и настраивать личные окружения пользователей; настраивать механизм «внешних» обработчиков; вести системные настройки комплекса.
	Ведение НСИ	Право позволяет заполнять все справочники, относящиеся к НСИ;
	Импорт/экспорт НСИ	Право позволяет передавать НСИ с одного предприятия на другое (операции импорта/экспорта).
	Работа с некорректными сообщениями	Право позволяет работать с некорректными сообщениями в журнале сообщений (отправлять, накрывать, подтверждать).
Технолог	Создание графика определенного типа.	Право позволяет создавать графики определенного типа. Для пользователя необходимо указать тип графика (типы графиков).
	Рассмотрение графика определенного типа.	Право позволяет пользователю производить рассмотрение графика определенного типа. Для пользователя необходимо указать тип графика (типы графиков).
	Изменение маршрута	Право позволяет изменять маршрут прохождения графика ремонтов (в том числе отдельной плановой ремонтной заявки). Для редактирования маршрута должно быть выполнено еще одно из условий: в маршруте должен быть элемент, который может подписать данный пользователь; пользователь должен быть администратором комплекса;
	Настройка ремонтного управления/ведения	Право предоставляет пользователю возможность настраивать ремонтное управление/ведение
	Право подписи за другого пользователя.	Право предоставляет пользователю возможность подписи за другого при рассмотрении графика.
	Право подписи за службу.	Право предоставляет пользователю возможность подписи за службу, к которой относится пользователь.
	Право подписи с целью согласования.	Право предоставляет пользователю возможность отправлять график с целью согласования, отправлять согласующие ответы.

Блок	Функция	Описание
	Удаление графика ремонтов	Право предоставляет пользователю возможность удаления входящих / рабочих графиков ремонтов.
	Настройка зависимости оборудования	Право дает пользователю доступ к справочнику «Зависимости оборудования» в режиме редактирования, при этом остальные справочники интерфейса оборудования доступны пользователю только для просмотра.
	Прием графика вне регламента	Пользователь, наделенный данным правом, оповещается о пришедшем графике вне регламента и имеет возможность принять решение о включении / не включении заявок из данного графика в сводный.
	Работа с входящими графиками	Право предоставляет пользователю возможность создавать и редактировать входящий график.
	Подготовка ответа за другое предприятие	Право позволяет пользователю формировать ответ на отправленный согласующий/утверждающий запрос за другое предприятие.
	Право последней подписи (ППП).	Право предоставляет возможность последней подписи (наличие данного права дает возможность утверждать график ремонтов).

9.2.3 Приложение 3

1	Предприятия	1. Грузинская Электросистема (ГГЭ) 2. ЭнергоПро 3. Теласи 4. Грузинская железная дорога и т.д.
2	Принадлежность	1. ЭнергоПро 2. Теласи 3. Сервис Центр №1 (СЦ1) 4. Сервис центр №2 (СЦ2)
3	Объекты	1. Подстанция № 1 (ГГЭ_СЦ1) 2. Подстанция №2 (ГГЭ_СЦ2) 3. ГЭС 1 (ЭнергоПро) 4. ГЭС 2 (ЭнергоПро) и т.д.
4	Устройства	1. Подстанция 1/220/ЛЭП 1 2. Подстанция 2/110/Трансформатор№1 3. ЛЭП_220кв_ЛЭП1 и т.д.
5	Общая информация об устройстве	Краткая информация

9.2.4 Приложение 4

Шаблон 1

1	ЛЭП_500_ЛЭП1	
	Внутреннее рассмотрение:	1. Диспетчерская 2. Режимы

		3. Релейная защита и т.д.
--	--	------------------------------

Шаблон 2

2	ЛЭП 500 ЛЭП 2	
	Внутреннее рассмотрение:	1. Диспетчерская 2. Режимы 3. Релейная защита и т.д.
	Согласовать по телефону	4. Соседняя страна 1 и т.д.

Шаблон 3

3	ЛЭП 220 ЛЭП 3	
	Внутреннее рассмотрение:	1. Диспетчерская 2. Режимы 3. Релейная защита и т.д.
	Внешнее рассмотрение:	4. ЭнергоПро

Шаблон 4

4	п/с №1 110кв АТ-1 - Ремонт Выключателя	
	Внутреннее рассмотрение:	1. Диспетчерская 2. Эксплуатация 3. Релейная защита 4. Служба учета и т.д.
	Внешнее рассмотрение:	1. ЭнергоПро
	Согласовать с:	2. Грузинская железная дорога и т.д.

Шаблон 5

5	п/с №2 220 ЛЭП 5 – перевести на обходную шину	
	Внутреннее рассмотрение:	1. Диспетчерская 2. Релейная защита 3. Эксплуатация 4. Служба учета
	Внешнее рассмотрение:	1. ЭнергоПро
	Согласовать с:	2. Грузинская железная дорога и т.д.

Шаблон 6

6	SCADA перезапуск устройств (Server, HMI, GW)	
	внутреннее рассмотрение:	1. Диспетчерская 2. SCADA-IT Технологии

ქვესისტემა "რემონტები"

1 ლექსიკონი

მითითებული დრო – დროის ინტერვალი (რემონტის დაწყების თარიღი და რემონტის დასრულების თარიღი), რომელიც მითითებული იქნა მოწყობილობის მფლობელის/ექსპლუატაციის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ მოწყობილობის ერთეულის რემონტის გრაფიკში ჩართვის დროს.

რემონტის დრო - დროის ინტერვალი (რემონტის დაწყების თარიღი და რემონტის დასრულების თარიღი), რომელიც მითითებული იქნა სადისპეჩერო ცენტრის მიერ რემონტის გრაფიკის განხილვის დროს.

წარმოება – დამოუკიდებელი ეკონომიკური სუბიექტი ან ეკონომიკური საქმიანობის უფლებამოსილების მქონე სუბიექტი, რომელიც აწარმოებს პროდუქციას, ასრულებს სამუშაოებს და უზრუნველყოფს მომსახურებას საზოგადოებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილების და მოგების მიღების მიზნით.

ქსელის გრაფიკი – დაგეგმილი სარემონტო სამუშაოების გრაფიკული გამოსახულება.

ენერგეტიკული სისტემა (ენერგოსისტემა) – ელექტროსადგურების, ელექტრო და სითბური ქსელების ერთიანობა, რომლებიც ერთმანეთთან არის დაკავშირებული და შესაბამისი რეჟიმებით უზრუნველყოფს ელექტრო და სითბური ენერჯის გამომუშავების, გარდაქმნის, გადაცემის და გავრცელების უწყვეტ პროცესს აღნიშნული რეჟიმების საერთო მართვის შედეგად.

მონაცემთა დამუშავების ცენტრი (ЦОД) – საიმედო კომპლექსური ცენტრალიზებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნეს-პროცესების ავტომატიზაციას მაღალი დონის მწარმოებლურობის და მიწოდებული მომსახურების მაღალი ხარისხის შენარჩუნებით.

2 შემოკლებები

БД – მონაცემთა ბაზა

ЛЭП – ელექტროგადამცემი ხაზები

НСИ – ნორმატიული-სახელმძღვანელო ინფორმაცია

ПК – პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტი

РЗА – სარელეო დაცვა და ავტომატიკა

СДТУ – სადისპეჩერო და ტექნოლოგიური მართვის საშუალებები

СУБД – მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა

3 ზოგადი დებულებები

წინამდებარე დებულებები ითვალისწინებს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მფლობელობაში არსებული ენერგო მოწყობილობების რემონტის მართვის ავტომატური სისტემების მიწოდებას (შემდგომში АСУРЭО), ასევე შესაბამის საინჟინრო მომსახურებას, სამონტაჟო სამუშაოებს და სისტემის საწყის კონფიგურაციას, საკონსულტაციო მომსახურებას და პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერას.

4 სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სტრუქტურა რემონტის გრაფიკების განხილვის ჭრილში

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მფლობელობაში არსებული მოწყობილობების რემონტის გრაფიკების განხილვის ტექნოლოგია:

1. რემონტის გრაფიკის წარდგენა ხდება საწარმოს ან საწარმოსთან დაკავშირებული სხვა საწარმოების (ენერგო-პრო ჯორჯია, თელასი, საქართველოს რკინიგზა, საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი, და ა.შ.) სპეციალისტების მიერ.
2. რემონტის გრაფიკს განიხილავს შესაბამისი სამსახურები.
3. საჭიროების შემთხვევაში, რემონტის გრაფიკის თაობაზე შესაძლებელია სატელეფონო შეთანხმება შესაბამის კომპანიებთან, მათ შორის უცხოურ კომპანიებთან.
4. რემონტის გრაფიკს ამტკიცებს მთავარი დისპეჩერის მოადგილე და მთავარი დისპეჩერი (საბოლოო პასუხი მიიღება გრაფიკის შესაბამისად).
5. ასევე შესაძლებელია მოხდეს რემონტის გრაფიკის გაუქმება (მოხსნა).

5 მოთხოვნის მიწოდება

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში დღეისათვის დანერგილია მისი საკუთარი სისტემა, რომელიც მოთხოვნების განხილვის ავტომატურ პროცესს უზრუნველყოფს, თუმცა, იგი მოძველებულია და გააჩნია მთელი რიგი უარყოფითი მხარეები, მაგალითად, არ იძლევა ხმოვან შეტყობინებას სისტემაში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

იგეგმება ახალი სისტემის დანერგვა, რომელიც საშუალებას იძლევა, მრავალრიცხოვანი მომხმარებელი ჩაერთოს სისტემაში, მათ შორის ელექტროსადგურებზე არსებულ სამუშაო ადგილებზე.

6. მოთხოვნები ახალი სისტემის ფუნქციებთან დაკავშირებით

6.1 სისტემასთან დაკავშირებული მოთხოვნების ზოგადი აღწერა

განიხილება АСУРЭО-ის ერთი ეგზემპლარის დანერგვა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ გაანგარიშებული სიმძლავრისთვის, რაც ჩართვის საშუალებას მისცემს კომპანიის სპეციალისტებს, დაკავშირებული კომპანიების სპეციალისტებს, მათ შორის სპეციალისტებს სადგურებიდან.

სისტემაში ჩართულნი უნდა იყვნენ სპეციალისტები, მათ შორის ელექტროსადგურები (ქვესადგურები), რომლებიც უზრუნველყოფენ აღჭურვილობის რემონტის ყოველწლიურ და ყოველთვიურ გრაფიკების მომზადებას სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სპეციალისტების მიერ განსახილველად და მთავარი დისპეჩერის ან პასუხისმგებელი ხელმძღვანელის მიერ დასამტკიცებლად, რის შედეგადაც მიღებული იქნება საბოლოო პასუხი რემონტის გრაფიკის შესახებ.

მომხმარებელ ფილიალებს და შესაბამის კომპანიებს სისტემის დონეზე დაწესებული უნდა ჰქონდეთ ლიმიტები, რათა რემონტის გრაფიკების დათვალიერება და გადაცემა შესაძლებელი იყოს მხოლოდ საკუთარი ენერგო-ობიექტების ადჭურვილობაზე.

მომხმარებლების სია და მათი როლების მაგალითები მოცემულია 1-ელ და 2-ე დანართებში.

ქვესისტემა АСУРЭО „რემონტის გეგმებთან“ მუშაობისას შესრულებული უნდა იქნას შემდეგი ფუნქციები:

- მომხმარებლის წვდომის უფლებების შეზღუდვა.
- ნორმატიული-სახელმძღვანელო ინფორმაციის უზრუნველყოფა.
- ადჭურვილობის და დანადგარების კომპლექსების სახელმძღვანელოების უზრუნველყოფა.
- ელექტროტექნიკური ობიექტების ტიპების სახელმძღვანელოების უზრუნველყოფა.
- კომპანიის სახელმძღვანელოს უზრუნველყოფა.
- ენერგოსისტემების, ტერიტორიის, კომპანიების სახელმძღვანელოების უზრუნველყოფა.
- სახელმძღვანელოების ექსპორტი/იმპორტი.
- ადჭურვილობის მონაცემების ფილტრაცია კლასიფიკაციის ნიშნების მიხედვით.
- რემონტის მართვის/უზრუნველყოფის პარამეტრების დაყენება.
- რემონტის ყოველწლიური და ყოველთვიური გრაფიკების შედგენა სადისპეჩერო ცენტრებში.
- რემონტის სათანადო ყოველწლიური და ყოველთვიური გრაფიკების შედგენა შემავალი გრაფიკების გაერთიანების გზით.
- რემონტის გრაფიკების განხილვა „საკუთარ“ დონეზე.
- რემონტის გრაფიკების რაოდენობრივი და დროებითი კორექტირება.
- რემონტის ყოველწლიური და ყოველთვიური გრაფიკების დამტკიცება.
- წინასწარ განსაზღვრული მარშრუტების პარამეტრების დაყენება და რემონტის გრაფიკების განხორციელების წესები.
- გრაფიკების ავტომატური გადაგზავნა სადისპეჩერო ცენტრების დონეებს შორის.
- რემონტის გრაფიკების მიღების/გაგზავნის რეგლამენტის პარამეტრების განსაზღვრა და კონტროლი.
- შეტყობინებების მიღება და გაგზავნა.
- დაგეგმილი სარემონტო ღონისძიებების ძებნა, ფილტრაცია, დახარისხება.
- რემონტის თავსებადობის/შეუთავსებლობის ცხრილის პარამეტრების განსაზღვრა.
- საბეჭდი ფორმების ნიმუშების განსაზღვრა.
- საანგარიშო დოკუმენტების მომზადება ცხრილების და გრაფიკული გამოსახულებების სახით.
- სისტემის ჩანაწერების, მონაცემთა ბაზების ჩანაწერების ნახვა და ბეჭდვა.

6.1.1 რემონტის გრაფიკის შედგენა სადისპეჩერო ცენტრის მიერ

რემონტის გრაფიკი უნდა შეიქმნას სპეციალისტების მიერ, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი უფლებამოსილება სისტემის დონეზე. აღნიშნული უფლებამოსილება შესაძლოა შეზღუდული იყოს გრაფიკის ტიპების მიხედვით. მაგალითად, ცალკეულ სპეციალისტებს

უფლება აქვთ, მოამზადონ რემონტის გრაფიკი მხოლოდ ელექტროგადაცემი ხაზების ან CRT აღჭურვილობისთვის. რემონტის გრაფიკების შედგენა ხდება მხოლოდ სისტემაში ჩართული აღჭურვილობისთვის და ენერგობიექტებისთვის. კომპანიის. ენერგობიექტების (ქვესასგურების) და აღჭურვილობის სტრუქტურა მოცემულია დანართი 3 -ში.

რემონტის გრაფიკის მომზადებისას მომხმარებლისთვის შეთავაზებული უნდა იყოს გრაფიკის ტიპების არჩევანი, რომელიც შეზღუდვებს აწესებს აღჭურვილობის კონკრეტული ერთეულების ჩართვის შესაძლებლობაზე, დაგეგმვის პერიოდის არჩევანზე (წელი ან თვე), ასევე კომპანიის არჩევანზე, რომლის მხრიდანაც უზრუნველყოფილია რემონტის გრაფიკის მიწოდება. კომპანიის სახით მითითებული უნდა იყოს კომპლექსის მიმდინარე კომპანია, რომლის შეცვლაც შესაძლებელია ფილიალების დონეზე, თუ სადისპეჩერო ცენტრი აბონენტისთვის ამზადებს რემონტის გრაფიკს.

მომხმარებელს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, გრაფიკში აღჭურვილობის რემონტის შესახებ არსებული ინფორმაცია ხელით და ავტომატურად გადართოს.

ხელით გადართვისას მომხმარებელმა გრაფიკში უნდა დაამატოს ინფორმაცია აღჭურვილობის რემონტის შესახებ, ამისათვის საჭიროა აღჭურვილობის ერთეულების არჩევა და დაგეგმილი რემონტის ღონისძიებების ველების შევსება.

მომხმარებელს შეუძლია, შექმნას რემონტის გრაფიკი ისე, რომ არ ჩართოს მასში არც ერთი დაგეგმილი სარემონტო ღონისძიება, მათი შევსება შესაძლებელია მომავალში. გრაფიკი საბოლოოდ შექმნილად ითვლება, თუ იგი ხელმოწერილია მისი შემქმნელი მომხმარებლის მიერ.

გრაფიკში შესაძლებელია დაგეგმილი ღონისძიებების დამატება როგორც ერთი რემონტის ფორმის (სარემონტო ღონისძიებების ცალ-ცალკე დამატება), ასევე ღონისძიებების დამატების ფორმის (მრავალი დაგეგმილი ღონისძიების დამატება) მეშვეობით.

ავტომატური ჩართვის დროს მომხმარებელს შეუძლია შექმნას რემონტის გრაფიკი ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც მოცემულია სხვა რემონტის გრაფიკში:

-რემონტის წლიური გრაფიკის შედგენა შესაძლებელია სხვა რემონტის წლიურ გრაფიკში არსებული ინფორმაციის საფუძველზე.

-გამორთვის ყოველთვიური გრაფიკის შედგენა შესაძლებელია რემონტის წლიურ გრაფიკში არსებული ინფორმაციის საფუძველზე.

რემონტის გრაფიკი, რომლის საფუძველზეც იქმნება მეორე გრაფიკი, წარმოადგენს „მშობელ“ გრაფიკს. რემონტის გრაფიკი, რომელიც მიიღება „მშობელი“ გრაფიკის საფუძველზე, წარმოადგენს „წარმოებულ“ რემონტის გრაფიკს.

„მშობელი“ გრაფიკის ინფორმაციის საფუძველზე რემონტის გრაფიკის შედგენისას ავტომატურად განისაზღვრება რემონტის ვადები და ირთვება რეჟიმი „განხილვას არ ექვემდებარება“.

6.1.2 რემონტის გაერთიანებული გრაფიკის შედგენა სადისპეჩერო ცენტრებში

გაერთიანებული გრაფიკი შედგენილი უნდა იქნას შემავალი გრაფიკების და იმ გრაფიკების გაერთიანებით, რომლებიც სადისპეჩერო ცენტრშია შექმნილი (მათ შორის აბონენტის სახელით) და მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

-რემონტის შემაჯავალი გრაფიკები (სხვა დონიდან გამოგზავნილი რემონტის გრაფიკები დამტკიცების/შეთანხმების/ინფორმირების მიზნით);

-უშუალოდ სადისპეჩერო ცენტრში შექმნილი რემონტის გრაფიკები (გრაფიკები დისპეჩერიზაციის ობიექტების შესახებ და რემონტის გრაფიკები, რომლებიც შექმნილია კომპანიის ექსპლუატაციის განმახორციელებელი აზონენტის სახელით).

დაგეგმვის თითოეული პერიოდისთვის და გრაფიკის ტიპისთვის შესაძლებელია ერთი საერთო გრაფიკის შედგენა.

საერთო გრაფიკი ავტომატურად უნდა შეიქმნას დაგეგმვის კონკრეტული ტიპის და პერიოდის პირველი შემაჯავალი გრაფიკის ხელმოწერისთანავე, სხვა ტიპის და პერიოდის დაგეგმვის შემაჯავალი გრაფიკები ავტომატურად უნდა გახდეს საერთო გრაფიკის ნაწილი.

პროგრამის კომპლექსში გათვალისწინებული უნდა იყოს რემონტის ერთი საერთო გრაფიკის ნახვის შესაძლებლობა შემაჯავალი გრაფიკების კომპოზიციის სახით: მომხმარებელს საშუალება უნდა ჰქონდეს, ნახოს, როგორ შეიქმნა საერთო გრაფიკი სხვა რემონტის გრაფიკებისგან.

6.1.3 გრაფიკების განხილვა და დამტკიცება

6.1.3.1 რემონტის გრაფიკების განხილვა კომპანიის შიგნით არსებული სამსახურების მიერ

რემონტის გრაფიკების განხილვისას აუცილებელია შემდეგი წესებით ხელმძღვანელობა:

- დაგეგმილ სარემონტო ღონისძიებებში შესაძლებელი უნდა იყოს სხვადასხვა სახის კორექტირების შეტანა.
- განხილვა დასრულებულად ითვლება, თუ ყველა სამსახურის/მომხმარებლის მიერ, რომლებიც ვალდებული იყვნენ, განეხილათ რემონტის გრაფიკი, დასმულია საკუთარი ხელმოწერა გრაფიკების ქვეშ. გრაფიკი განხილულად ითვლება, თუ მის ქვეშ დასმულია ППП მომხმარებლის ხელმოწერა.
- განხილვა ითვლება „განმეორებითად“, თუ რომელიმე სამსახურის მომხმარებელი დაუბრუნდა განხილვას გრაფიკის სხვა სამსახურების მიერ განხილვის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში ყველა ხელმოწერა უქმდება, რემონტის გრაფიკმა კვლავ უნდა გაიმეოროს იგივე მარშრუტი და მოიპოვოს ყველა საჭირო ხელმოწერა.
- იმ შემთხვევაში, თუ რემონტის გრაფიკის განხილვისას სხვა დონიდან მიღებულია გრაფიკი ინფორმირების მიზნით, გრაფიკის ქვეშ არსებული ხელმოწერები არ იკარგება. მომხმარებლები, რომლებმაც მანამდე მიიღეს რემონტის გრაფიკი, მიიღებენ შეტყობინებას ახალი შემაჯავალი გრაფიკის შესახებ.
- მომხმარებელს შეუძლია გაგზავნოს შესაბამისი პასუხი ნებისმიერ შემომავალ გრაფიკზე, მიუხედავად შემაჯავალი გრაფიკის მიღებიდან გასული დროისა (შესაბამისი პასუხების გაგზავნის უფლებამოსილების შემთხვევაში).
- მომხმარებელს შეუძლია იმუშაოს გრაფიკზე მრავალი მომხმარებლის და ერთი მომხმარებლის რეჟიმში.

6.1.3.2 რემონტის გრაფიკებში შესწორებების შეტანა

რემონტის გრაფიკებზე მუშაობის პროცესში პროგრამული კომპლექსის მეშვეობით შესაძლებელი უნდა იყოს შემდეგი შესწორებების შეტანა დაგეგმილ სარემონტო ღონისძიებებში:

- დაგეგმილი სარემონტო ღონისძიებების დამატება/წაშლა;

- უარის თქმა ცალკეულ დაგეგმილ სარემონტო ღონისძიებაზე;
- დაგეგმილი სარემონტო ღონისძიებების ვადების შეცვლა;
- სიმძლავრის დაწვევის სიდიდის კორექტირება;
- ცალკეული დაგეგმილი სარემონტო ღონისძიების პრიორიტეტების შეცვლა;
- სხვა შესწორებების განხორციელება: კომენტარების შეტანა, ავარიული მზადყოფნის შეცვლა, ა.შ.

მომხმარებელს საშუალება უნდა ჰქონდეს, ცვლილებები შეიტანოს დაგეგმილი სარემონტო ღონისძიებების საინფორმაციო ველებში.

6.1.3.2.1 რემონტის ვადების გადატანა დაგეგმვის სხვა პერიოდებზე

მომხმარებელს უფლება აქვს, ყოველთვიური გრაფიკის განხილვის ეტაპზე რემონტის ვადები შემდეგი თვისთვის გადაიტანოს. ასეთი დაგეგმილი სარემონტო ღონისძიება ავტომატურად უნდა იქნას გათვალისწინებული შესაბამისი თვის დაგეგმვის გრაფიკის შედგენისას. ასევე აუცილებელია, უზრუნველყოფილი იქნას გადატანილი რემონტის ვიზუალურად ასახვა განტის დიაგრამაზე შესაბამისი ფერის (ფორმების, შტრიხების) გამოყენებით.

ქვესისტემაში АСУРЭО „რემონტის გეგმები“ განხორციელებული უნდა იყოს ალგორითმი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ინფორმაციის მიღება იმ სარემონტო ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გადატანილი იქნა დაგეგმვის შემდეგი პერიოდისთვის.

6.1.3.2.2 შესწორებების შეტანა განხილულ გრაფიკის

იმ შემთხვევაში, თუ გვსურს ველის მნიშვნელობის შეცვლა ან ახალი დაგეგმილი სარემონტო ღონისძიების დამატება, როდესაც გრაფიკი „განხილული გრაფიკის“ მდგომარეობაშია, გამოყენებული უნდა იქნას შემდეგი მექანიზმი:

- ცვლილებების ინიციატორ კომპანიაში რემონტის გრაფიკი ექვემდებარება განმეორებით განხილვას და ხელმოწერას (ყველა ხელმოწერა იკარგება). გრაფიკი შეცვლილი (ახალი) დაგეგმილი სარემონტო ღონისძიებებით იგზავნება დამტკიცების დონეზე.
- დამტკიცების დონეზე შემავალი რემონტის გრაფიკი მიღებული უნდა იქნას იმ პირობით, თუ საერთო გრაფიკი არ იმყოფება მდგომარეობაში „გადაწყვეტილი“ ან „დამტკიცებული“. ადმინისტრატორი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება შემოსული გრაფიკის საერთო გრაფიკში ჩართვის შესახებ (გრაფიკის „დაფარვა“).
- ყველა მომხმარებელი, რომელთა მიერ ხელმოწერილი იყო გრაფიკი, მიიღებენ შეტყობინებას დაგეგმილ სარემონტო ღონისძიებებში შეტანილი ცვლილებების (დამატებების) შესახებ. ППП მომხმარებლის ხელმოწერა იშლება. იმ შემთხვევაში, თუ საერთო გრაფიკი იმყოფება „განხილული“ გრაფიკის მდგომარეობაში, ინფორმაცია დაგეგმილ სარემონტო ღონისძიებებში შეტანილი ცვლილებების (დამატებების) შესახებ ავტომატურად გადაეცემა დამტკიცების სხვა დონეს ППП მომხმარებლების მიერ საერთო გრაფიკის ხელმეორედ ხელმოწერის შემდეგ. ინფორმაცია დაგეგმილ სარემონტო ღონისძიებებში შეტანილი ცვლილებების (დამატებების) შესახებ არ გადაიცემა შეთანხმების დონეზე შეთანხმების მიღების

მიზნით (თუმცა, შესაძლებელია გადაცემული იყოს ინფორმირების მიზნით კომპლექსის შესაბამისი პარამეტრების დაყენების შემთხვევაში).

ქვესისტემის АСУРЭО „რემონტის გეგმები“ მეშვეობით შესაძლებელი უნდა იყოს რემონტის იმ გრაფიკების ვიზუალურად გარჩევა, რომლებიც გაგზავნილი იქნა თავდაპირველად და ასევე იმ გრაფიკების, რომლებიც განმეორებით იქნა მიღებული.

ქვესისტემის АСУРЭО „რემონტის გეგმები“ მეშვეობით შესაძლებელი უნდა იყოს დაგეგმილ სარემონტო ღონისძიებებში შეტანილი ცვლილებების (დამატებების) შესახებ ინფორმაციის წინასწარი გაცნობა (საერთო გრაფიკში ჩართვამდე).

6.1.3.2.3 შესწორებების შეტანა გადაწყვეტილ გრაფიკში

დამტკიცების დონეზე რემონტის გრაფიკის გადაცემის შემდეგ შესწორებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ დისპეჩერიზაციის ობიექტებში, რომლებიც არ იმყოფება დამტკიცების დონეზე სარემონტო მართვის / მფლობელობის ქვეშ.

6.1.3.2.4 დაგეგმილი სარემონტო ღონისძიების წაშლა ან უარყოფა

დაგეგმილი სარემონტო ღონისძიება შესაძლოა წაიშალოს რემონტის გრაფიკიდან, რომელიც გამოირიცხა გრაფიკის შედგენისას. ყველა დანარჩენ შემთხვევაში შესაძლებელია დაგეგმილი სარემონტო ღონისძიების მხოლოდ გაუქმება. დაგეგმილი სარემონტო ღონისძიების გაუქმება დაუშვებელია ისეთ დონეზე, როდესაც იგი გაგზავნილია ინფორმირების მიზნით. უარყოფილი დაგეგმილი სარემონტო ღონისძიება უნდა გადაეცეს სადისპეჩერო მართვის სხვა დონეს შემომავალი სარემონტო გრაფიკის ფარგლებში და მიეთითოს უარყოფის მიზეზი იმ შემთხვევაში, თუ დისპეჩერიზაციის ობიექტი იმყოფება სადისპეჩერო ცენტრის მართვაში/მფლობელობაში. დაგეგმილი სარემონტო ღონისძიების უარყოფა იმ შემთხვევაში, როდესაც რემონტის გრაფიკი იმყოფება „განხილვის“ („გადაწყვეტის“) მდგომარეობაში, შესაძლებელია მხოლოდ იმ აღჭურვილობასთან დაკავშირებით, რომელიც არ იმყოფება დამტკიცების დონეზე.

6.1.3.3 რემონტის გრაფიკებთან მუშაობის განსაკუთრებული რეჟიმები

6.1.3.3.1 ღონისძიების ვერსიის გამოსახულება

პროგრამულ კომპლექსში გათვალისწინებული უნდა იყოს ღონისძიების ვერსიის ცხრილის და გრაფიკული გამოსახულების სახით ნახვის შესაძლებლობა, ასევე შესაძლებელი უნდა იყოს არსებულ ვერსიაში ცვლილებების შეტანა.

წესები გამოსახულების ჩვენების შესახებ:

ღონისძიების ვერსია გამოისახება განტის ცხრილების და დიაგრამების მეშვეობით;

-გამოისახება ვერსიები, რომლებიც მიღებულია როგორც შიდა, ასევე გარე

მარშრუტზე;

-გამოისახება ინფორმაცია კომპანიის (მომხმარებლის) შესახებ, რომელმაც შექმნა

ვერსია;

-არ გამოისახება ღონისძიებების ვერსიები, რომლებიც ჩამოტვირთულია სხვა ტიპის (მიზნის) გრაფიკებიდან;

-ვერსიები გამოისახება მხოლოდ იმ ღონისძიებებისთვის, რომლებიც მიეკუთვნება გრაფიკის დაგეგმვის პერიოდს.

-ვერსიის გამოსახვის რეჟიმი არ მუშაობს შემდეგ რეჟიმთან ერთად: „დაგეგმვა: რემონტის გადატანა“.

6.1.3.3.2 სადისპეჩერო ღონისძიებების გამოსახვა გრაფიკის შემადგენლობაში

ინფორმაცია სადისპერო ღონისძიებების შესახებ გრაფიკის შემადგენლობაში გამოსახული უნდა იყოს განსაკუთრებული რეჟიმით.

სადისპერო ღონისძიებების გამოსახვის წესები:

- გამოისახება განსაკუთრებულ რეჟიმში სამუშაო გრაფიკთან მუშაობის დროს;
- სადისპერო ღონისძიებების გამოსახვის რეჟიმი არ მუშაობს შემდეგ რეჟიმთან ერთად: „დაგეგმვა: რემონტის გადატანა“.
- სადისპერო ღონისძიებების რედაქტირება აიკრძალებულია;
- თავსებადობის/შეუთავსებლობის ანალიზი არ ხორციელდება (გათვალისწინებულია სისტემის განვითარების დროს).

სადისპერო ღონისძიებების გამოსახვა უნდა განხორციელდეს გამოსახვის რეჟიმში, რა დროსაც შესაძლებელია დაგეგმილი და სადისპერო ღონისძიებების გაერთიანება, ასევე სადისპერო ღონისძიებების გამოსახვის რეჟიმში.

6.1.3.3 რემონტის გახანგრძლივება და გადატანა

ღონისძიების გახანგრძლივება – ოპერაცია, რომლის დროსაც დამტკიცებული რემონტის დასრულების ვადა ხანგრძლივდება.

პირველადი ღონისძიება – დამტკიცებული ღონისძიება, რომელთან დაკავშირებითაც ხორციელდება გახანგრძლივების ან გადატანის ოპერაცია.

მოთხოვნა გახანგრძლივების შესახებ – მოთხოვნა, რომელიც ახანგრძლივებს რემონტისთვის მანამდე დამტკიცებულ ვადას.

ღონისძიების გადატანა – ოპერაცია, რომლის დროსაც დამტკიცებული რემონტის დაწყების თარიღი ისე იცვლება, რომ განეკუთვნება დაგეგმვის მომავალ პერიოდებს (დამტკიცებულთან მიმართებით).

გადატანილი ღონისძიება – ღონისძიება, რომელიც მიირება გადატანის შედეგად.

აუცილებელია, რომ მომხმარებელს ჰქონდეს შესაძლებლობა, გაახანგრძლივოს დამტკიცებული რემონტი ისე, რომ რემონტის დასრულების თარიღი მიეკუთვნებოდეს განსახილველ გრაფიკს.

ღონისძიების გახანგრძლივების შემთხვევაში მოქმედებს შემდეგი წესები:

- გახანგრძლივებული ღონისძიება განეკუთვნება დამტკიცებულ გრაფიკს. გახანგრძლივების ოპერაცია ითვალისწინებს ღონისძიების შექმნას განსახილველი გრაფიკის განმავლობაში. განსახილველი გრაფიკი არ არის დამტკიცებული საკუთარ დონეზე ან ზემდგომ სადისპერო ცენტრში.
- გახანგრძლივება შესაძლებელია მხოლოდ ყოველთვიური დაგეგმვის ეტაპზეზე.
- გახანგრძლივების ოპერაცია ხორციელდება დაგეგმვის რეჟიმში.
- გახანგრძლივებული ღონისძიების ველების «მითითებული დრო. დაწყება» და «რემონტის დრო. დაწყება» მნიშვნელობა არ ექვემდებარება რედაქტირებას.
- პირველადი ღონისძიების (გახანგრძლივებულის წინამორბედი) ველების «მითითებული დრო. დასრულება» და «რემონტის დრო. დასრულება» შეცვლა დაუშვებელია.
- მოთხოვნა გახანგრძლივების შესახებ ასე გამოიხატება - «გახანგრძლივებული».
- მოთხოვნა გახანგრძლივების შესახებ და პირველადი მოთხოვნა ერთმანეთთან არის დაკავშირებული.

- მოთხოვნა გახანგრძლივების შესახებ შესაძლოა გახანგრძლივდეს (და კავშირი ჰქონდეს სხვა მოთხოვნასთან გახანგრძლივების შესახებ).
- მოთხოვნა შესაძლოა გახანგრძლივდეს, თუ მისი შინაარსი განსხვავდება შემდეგისგან («უარყოფილი», «მოხსნილი»).
- დაგეგმვის პერიოდი, რომელსაც განეკუთვნება მოთხოვნა გახანგრძლივების შესახებ, წარმოადგენს დაგეგმვის პერიოდის შემდგომ პერიოდს, რომელსაც განეკუთვნება პირველადი (გახანგრძლივებული) მოთხოვნა (იანვარი და თებერვალი, თებერვალი და მარტი, ა.შ.);
- მოთხოვნის გახანგრძლივებისას მოქმედებს იგივე პრინციპი, როგორც მოთხოვნის გრაფიკში დამატებისას, კერძოდ:
- იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა ფამტკიცებულია ზემდგომ სადისპეჩერო ცენტრში, დაგეგმვის მიმდინარე პერიოდის გრაფიკი არ უნდა დამტკიცდეს ზემდგომ სადისპეჩერო ცენტრში;
- იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა არ მტკიცდება ზემდგომ სადისპეჩერო ცენტრში, გახანგრძლივების ოპერაცია დასაშვებია (შესაძლებელია ხელმოწერების გაუქმება)
- ანალიტიკური გამოთვლების შემთხვევაში პირველადი მოთხოვნა და მოთხოვნა გახანგრძლივების შესახებ ერთ რემონტად ითვლება.

აუცილებელია მომხმარებელს საშუალება მიეცეს, გადაიტანოს უკვე დამტკიცებული რემონტები დაგეგმვის სამომავლო პერიოდებში. დამტკიცებული რემონტის გახანგრძლივება და გადატანა უნდა განხორციელდეს რეჟიმში „რემონტის გახანგრძლივება და გადატანა“.

6.1.4 რემონტის გრაფიკების გაცვლა

რემონტის გრაფიკების გაცვლისას აუცილებელია შემდეგი პრინციპებით ხელმძღვანელობა:

- რემონტის გრაფიკი შესაძლოა წარმოდგენილი იყოს გამავალი/შემომავალი გრაფიკების კომპოზიციის სახით, რომლებიც იგზავნება დამტკიცების/შეთანხმების/ინფორმირების მიზნით.
- რემონტის გამავალი გრაფიკი გადაეცემა დამტკიცების მიზნით, რემონტის მართვის/წარმართვის ინფორმაციიდან გამომდინარე.
- რემონტის გამავალი გრაფიკი შესაძლოა გაგზავნილი იყოს სადისპეჩერო ცენტრში შეთანხმების მიზნით.
- რემონტის გამავალი გრაფიკი გადაეცემა სხვა დონეს ინფორმირების მიზნით და გამომდინარეობს საინფორმაციო შეტყობინების შესახებ არსებული ინფორმაციიდან.
- დამტკიცების დონემ შესაძლოა დამატებით გაგზავნოს მართვის ქვედა დონეზე ინფორმაცია აღჭურვილობის ცალკეული ერთეულების რემონტის შესახებ.
- მომხმარებელს შეუძლია გადაადგილოს აღჭურვილობის ერთეული ნებისმიერ გამავალ გრაფიკში, რომელიც შეიქმნა პროგრამული კომპლექსის მიერ, ანუ, შეცვალოს ფაქტობრივი გარე მარშრუტი აღჭურვილობის ერთეულისთვის.
- მომხმარებელს შეუძლია დამოუკიდებლად შექმნას აღჭურვილობის ნებისმიერი ერთეულისთვის განავალი გრაფიკი (საკუთარი ფაქტობრივი გარე მარშრუტის განსაზღვრა აღჭურვილობის ერთეულისთვის).

- ქვესისტემაში АСУРЭО „რემონტის გეგმები“ განხორციელებული უნდა იყოს მექანიზმი, რომელიც საშუალებას იძლევა, გაკონტროლდეს რემონტის შემომავალი და გამავალი გრაფიკების მიღება/გაგზავნის რეგლამენტი.

პროგრამულმა კომპლექსმა უნდა უზრუნველყოს სადისპეჩერო მართვის შესაბამის დონეზე რემონტის გრაფიკების შემოსვლის შესახებ ავტომატური შეტყობინების მექანიზმის განხორციელება.

6.1.4.1 მარშრუტიზაციის წესი

სისტემა უნდა შეიცავდეს წინასწარ განსაზღვრული მარშრუტების ცნობარს, რემონტის გრაფიკის შედგენისას შემოთავაზებული უნდა იქნას გრაფიკის გადაადგილების ტიპური მარშრუტი. წინასწარ განსაზღვრული მარშრუტები შესაძლოა შემუშავებული იყოს გრაფიკის განსაზღვრული ტიპისთვის. წინასწარ განსაზღვრული მარშრუტის პარამეტრები დაყენებული უნდა იყოს კომპლექსის ადმინისტრატორის მიერ.

მარშრუტი შესაძლოა შედგებოდეს 2 ნაწილისგან: შიდა, და საჭიროების შემთხვევაში - გარე. შიდა ნაწილი გულისხმობს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სამსახურებს და სპეციალისტებს. გარე მარშრუტი მოიცავს კომპანიების სიას, რომელთანაც ხორციელდება გრაფიკების შეთანხმება.

წინასწარ განსაზღვრული მარშრუტის ეტაპების განლაგების თანმიმდევრობა განისაზღვრება შემდეგი წესით:

- მარშრუტი უნდა შეიცავდეს მინიმუმ ერთ ეტაპს.
- მარშრუტის პირველ ეტაპს უნდა წარმოადგენდეს განხილვის ეტაპი.
- რემონტის გრაფიკს შესაძლოა ჰქონდეს განხილვის რამდენიმე ეტაპი.
- მარშრუტი შესაძლოა შეიცავდეს დამტკიცების მხოლოდ ერთ ეტაპს.
- შეთანხმების ეტაპის შემდეგ უნდა იყოს განხილვის ეტაპი.
- დამტკიცების ეტაპის შემდეგ უნდა იყოს განხილვის ეტაპი.
- ინფორმირების ეტაპი შესაძლოა მოსდევდეს შეთანხმების ეტაპს ან განხილვის ეტაპს.
- დასაშვებია ერთ ეტაპზე ინფორმირების ელემენტის განთავსება შეთანხმების ელემენტთან ერთად.
- დაუშვებელია ერთ ეტაპზე ერთდროულად შიდა და გარე განხილვის ელემენტების არსებობა.

წინასწარ განსაზღვრული მარშრუტი წარმოადგენს შაბლონს ფაქტობრივი მარშრუტის ასაგებად.

გრაფიკების გატარების მარშრუტების შაბლონები წარმოდგენილია 4-ე დანართში.

6.1.4.2 გრაფიკების შეთანხმება სადისპეჩერო ცენტრებს შორის

გამავალი გრაფიკი შესაძლებელია გაგზავნილი იქნას სხვა სადისპეჩერო ცენტრში შეთანხმების მიზნით. ამასთან, შეთანხმების პროცედურა უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად:

- საერთო გრაფიკში მოცემულია ინფორმაცია რემონტის შესახებ, რომელიც საჭიროებს შეთანხმებას სხვა სადისპეჩერო ცენტრთან. ინფორმაცია მოცემული რემონტის შესახებ მოთავსებულია გამავალ გრაფიკში და იგზავნება შეთანხმებულ დონეზე. გაგზავნის წინ დაგეგმილ სარემონტო ღონისძიებებში შესაძლებელია შეტანილი იქნას შესწორებები, მათ შორის რემონტის ვადებთან დაკავშირებით.

გაგზავნა შეთანხმებულ დონეზე ხორციელდება შეთანხმების პროცედურების გაშვების შემდეგ მომხმარებლის მიერ, რომელიც ფლობს შესაბამის უფლებამოსილებას. შეთანხმების პროცედურების გაშვების შემდეგ საერთო გრაფიკის მდგომარეობაა „არა შეთანხმებული“.

- შეთანხმების დონიდან შემოდის თანხმობის პასუხები. შეთანხმების დონეზე მომხმარებელი ვალდებულია, პასუხი გაგზავნოს თარიღამდე, რომელიც განისაზღვრება რეგლამენტით როგორც შეთანხმების პროცედურების დასრულების თარიღი. საერთო გრაფიკი ავტომატურად ხდება „შეთანხმებული“ გრაფიკი ყველა შეთანხმებული პასუხის მიღებისთანავე.
- შეთანხმების დონეზე მომხმარებელი უფლებამოსილია, უარი განაცხადოს დაგეგმილ სარემონტო ღონისძიებაზე, შეცვალოს ვადები და ა.შ.
- მომხმარებელი გზავნის შეთანხმების პასუხებს სხვა სადისპეჩერო ცენტრებში.
- მომხმარებელი ხელს აწერს საერთო გრაფიკს საკუთარ დონეზე. ხელმოწერის შემდეგ შეთანხმების პროცესი სრულდება. მომხმარებელს შეუძლია ხელი მოაწეროს საერთო გრაფიკს ისე, რომ არ დაელოდოს ყველა შეთანხმების პასუხს, თუ დამდგარია შეთანხმების ეტაპის დასრულებისთვის რეგლამენტით განსაზღვრული თარიღი. საერთო გრაფიკი ხდება „შეთანხმებული“ გრაფიკი.
- იმ შემთხვევაში, თუ სადისპეჩერო ცენტრის მიერ შესათანხმებლად გაგზავნილი რემონტის ვადები და მის მიერ შეთანხმების დონეზე მითითებული რემონტის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა, ის სადისპეჩერო ცენტრი, რომელმაც გრაფიკი შესათანხმებლად გაგზავნა, იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რემონტის რომელი ვადა მიიჩნევა პრიორიტეტულად. დამტკიცების დონეზე იგზავნება რემონტის ვადები, რომლებიც მითითებული იქნას „პასუხისმგებელი“ სადისპეჩერო ცენტრის მიერ. ანალოგიური მექანიზმი მოქმედებს ასევე დაგეგმილ სარემონტო ღონისძიებაზე უარის შემთხვევაში შეთანხმების დონეზე.
- იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების პასუხი ვადაზე გვიან მოვა, რომელიც რეგლამენტით იყო განსაზღვრული როგორც შეთანხმების პროცესის დასრულების თარიღი, მოცემული შეტყობინება ჩაითვლება არასწორად.

დამტკიცების პასუხის მიღების შემდეგ შეთანხმების დონეზე ავტომატურად გაიგზავნება ინფორმაცია რემონტის დამტკიცებული ვადების შესახებ.

6.1.4.3 დროებითი რეგლამენტების დაცვის კონტროლის მოთხოვნა

ქვესისტემის АСУРЭО „რემონტის გეგმები“ ფარგლებში აუცილებელია, გათვალისწინებული იყოს რემონტის გრაფიკების კონტროლი იმის დასადგენად, შეესაბამება თუ არა გრაფიკების მიწოდების და განხილვის რეგლამენტს.

რეგლამენტი შემუშავებული უნდა იქნას გრაფიკის დაგეგმვის ყოველი ტიპის და პერიოდისთვის. აუცილებელია, უზრუნველყოფილი იქნას რეგლამენტის პარამეტრების დარეგულირების შესაძლებლობა რემონტის „საწარმოო“ გრაფიკის შემთხვევაში.

რეგლამენტის კონტროლის მექანიზმი:

-რემონტის შემოსული გრაფიკი მოწმდება რეგლამენტთან შესაბამისობაზე:

- შემოვიდა რეგლამენტით განსაზღვრული ვადების დარღვევით (არა რეგლამენტის ფარგლებში);
- შემოვიდა რეგლამენტით განსაზღვრული ვადების დარღვევის გარეშე (რეგლამენტის ფარგლებში);

- იმ შემთხვევაში, თუ რემონტის შემომავალი გრაფიკი რეგლამენტის ვადების დარღვევით შემოვიდა, გრაფიკი არ ითვლება საერთო გრაფიკში (ითვლება არასწორად). ადმინისტრატორი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება შემომავალი გრაფიკის საერთო გრაფიკში ჩართვის შესახებ (დაგეგმილი სარემონტო ღონისძიებები „არა რეგლამენტის ფარგლებში“).
- იმ შემთხვევაში, თუ გრაფიკის ტიპისთვის რეგლამენტი დადგენილი არ არის, ასეთი ტიპის ყველა გრაფიკისთვის კონტროლი რეგლამენტთან შესაბამისობაზე არ ხორციელდება.

6.1.4.4 მოთხოვნები შეტყობინებების სისტემასთან დაკავშირებით

ქვესისტემის АСУРЭО „რემონტის გეგმები“ შეტყობინებების სისტემის მეშვეობით უზრუნველყოფილი უნდა იყოს მომხმარებლის ავტომატური ინფორმირება ახალი გრაფიკების შემოსვლის შესახებ, ასევე ადმინისტრატორის ინფორმირება შემომავალი და გამავალი შეტყობინებების შესახებ.

კომპანიებს შორის ინფორმაციის გაცვლის დროს გამოიყენება შეტყობინებების შემდეგი ტიპები:

- შემომავალი/გამავალი გრაფიკი. გამოიყენება სხვა კომპანიისთვის გრაფიკის
- ქვითარი მიღების შესახებ. გამოიყენება გრაფიკის მიღების, შეტყობინების მიღების შესახებ ინფორმაციის გადასაცემად.
- პასუხი შეთანხმების დონიდან (შეთანხმების პასუხი). გამოიყენება შეთანხმების დონიდან ინფორმაციის გადასაცემად.
- პასუხი დამტკიცების დონიდან (რემონტის დამტკიცებული გრაფიკი, დამტკიცების პასუხი).

6.1.5 რემონტის გრაფიკებთან მუშაობა

6.1.5.1 ინფორმაციის ასახვა ჩატარებული რემონტის შესახებ

სისტემის მომხმარებლებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს ჩატარებული რემონტის შესახებ ინფორმაციის ასახვის შემდეგი შესაძლებლობები:

- რემონტის გრაფიკის პარალელური დათვალიერება ცხრილის სახით და ქსელური გრაფიკის სახით.
- რემონტის ყოველთვიური და წლიური გრაფიკის მონაცემების ერთდროულად დათვალიერება.
- დაგეგმვის ერთ პერიოდს მიკუთვნებული ყველა გრაფიკის ერთდროულად დათვალიერება.
- დაგეგმილი სარემონტო ღონისძიებების ასახვა რემონტის პრიორიტეტის მითითებით.
- რემონტის ყოველთვიური და წლიური ვადების ერთდროულად დათვალიერება ერთ დიაგრამაზე.
- დაგეგმილი სარემონტო ღონისძიებების დაჯგუფება აღჭურვილობის ერთეულების მიხედვით.
- დაგეგმილი სარემონტო ღონისძიებების ასახვა ქსელურ გრაფიკში, რომლებიც

ჩათვლილი იყო/არ იყო რემონტის წლიურ გრაფიკში.

- ქსელურ გრაფიკში ინფორმაციის ასახვა დაგეგმილი სარემონტო ღონისძიებების შესახებ, რომლის თაობაზეც სხვა სადისპეჩერო ცენტრებიდან მიღებული იქნა შესწორებები.

რემონტის გრაფიკებთან მუშაობისას მომხმარებელს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, დამალოს ცალკეული სვეტები, შეცვალოს მათი განლაგება ინფორმაციის შეყვანისას ცხრილის სახით, გამოიტანოს ინფორმაცია ცხრილში აღჭურვილობის დამატებითი მახასიათებლების შესახებ, მოახდინოს დაგეგმილი სარემონტო ღონისძიებების ველების მნიშვნელობების რედაქტირება ფორმის გამომახების გზით.

პროგრამული კომპლექსით უზრუნველყოფილი უნდა იყოს ეკრანის ფორმების უკანასკნელი კონფიგურაციების ატვირთვის შესაძლებლობა, რომლებიც მოიცავს შემდეგს:

- გრაფიკების სიის ასახვის ბოლო რეჟიმის ავტომატური შენახვა;
- მომხმარებლის პირადი პროფილის შენახვა გრაფიკის ასახვისას;
- პირადი პროფილის გამოყენება ხელახლა შექმნილი (გახსნილი) გრაფიკის ასახვისათვის;
- მომხმარებლის პირადი პარამეტრების შენახვა (პრინტერი, აქტიური ჩანართი, ა.შ.).

6.1.5.2 ფილტრებთან მუშაობა

რემონტის გრაფიკების სიების მომხმარებლების კომფორტული მუშაობისთვის აუცილებელია უზრუნველყოფილი იყოს ინფორმაციის ასახვა დაგეგმილი სარემონტო ღონისძიებების შესახებ სხვადასხვა სახის ფილტრის გამოყენებით.

ფილტრებთან მუშაობის წესები:

- ადმინისტრატორმა შესაძლოა შეინახოს ფილტრი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება სხვა მომხმარებლებისთვის.
- მომხმარებელი უფლებამოსილია წაშალოს მისთვის შექმნილი ფილტრი.
- ფილტრაციის კრიტერიუმები შესაძლოა გამოყენებული იქნას მხოლოდ ერთხელ განსაზღვრული ფილტრის პირობების ფორმირების მიზნით.
- ფილტრაციის პირობების ნაკრების შექმნის შემთხვევაში ფილტრში შესაძლებელია გამოყენებული იქნას ოპერაცია «И» და ოპერაცია «ИЛИ».

6.1.5.3 მოთხოვნების გაერთიანება

მოთხოვნების გაერთიანება (გაერთიანებული მოთხოვნების ჯგუფი) - ერთმანეთთან დაკავშირებული დაგეგმილი მოთხოვნები, რომელთა რემონტის ვადები იცვლება ერთმანეთთან მიმართებით, ხოლო დროის ინტერვალები მუდმივია.

«გაერთიანების» კავშირი - მოთხოვნებს შორის განსაკუთრებული სახის კავშირი, რომელიც იმაზე მიუთითებს, რომ მოთხოვნები გაერთიანებული მოთხოვნების ერთ ჯგუფს ეკუთვნის.

დროის გადანაცვლება – მუდმივი დროის ინტერვალი გაერთიანებული მოთხოვნების ერთი ჯგუფის სარემონტო ღონისძიებების დაწყების დროებს შორის.

სისტემა საშუალებას უნდა იძლეოდეს, „ჯაჭვისებურად“ დაუკავშირდეს ერთმანეთს მოთხოვნები ერთი გრაფიკიდან ან სხვადასხვა ტიპის გრაფიკები.

მოთხოვნების ჯაჭვისებურად დაკავშირების წესები:

- შესაძლებელია ჯაჭვისებურად დაუკავშირდეს ერთმანეთს როგორც მოთხოვნები, რომლებიც ერთ გრაფიკს განეკუთვნება, ასევე სხვადასხვა ტიპის გრაფიკებს მიკუთვნებული მოთხოვნები (გრაფიკების დაგეგმვის პერიოდები ერთმანეთს ემთხვევა);
- ჯაჭვისებურად დაკავშირებული მოთხოვნების რემონტის დრო ისე იცვლება, რომ შენარჩუნებული იყოს რემონტის დაწყების დროის დროებითი გადანაცვლება ყველა მოთხოვნისთვის, რომლებიც ჯაჭვისებურად დაკავშირებული მოთხოვნების ჯგუფს განეკუთვნება;
- კავშირი განცხადებებს შორის თანაბარუფლებიანი, ანუ, თითოეული მოთხოვნის ველის „რემონტის დრო. დაწყება“ მნიშვნელობის შეცვლამ უნდა გამოიწვიოს ჯგუფის სხვა მოთხოვნების რემონტის ვადებიც;
- ჯაჭვისებურად დაკავშირებული მოთხოვნების რემონტის დრო ავტომატურად იცვლება, თუ მოთხოვნები ერთ გრაფიკს ეკუთვნის;
- კავშირი ჯაჭვისებურად დაკავშირებულ მოთხოვნებს შორის შესაძლოა დაირღვეს მომხმარებლის მიერ;
- კავშირი ჯაჭვისებურად დაკავშირებულ მოთხოვნებს შორის ინახება გრაფიკისთვის (მოქმედებს გრაფიკთან მომუშავე ყველა მომხმარებლისთვის);
- მოთხოვნა შესაძლოა მიეკუთვნებოდეს ჯაჭვისებურად დაკავშირებული მოთხოვნების მხოლოდ ერთ ჯგუფს განსაზღვრული ტიპის ერთი გრაფიკის ფარგლებში;
- ჯაჭვისებურად დაკავშირების ოპერაცია ხორციელდება რედაქტირების ერთმომხმარებლიან რეჟიმში; ჯაჭვისებური კავშირი ნარჩუნდება მხოლოდ იმ გრაფიკისთვის, რომელშიც ის განხორციელდა (არ ვრცელდება სხვა გრაფიკის ბაზაზე შექმნილ სხვა გრაფიკებზე);
- კავშირის დამყარებისას ადგილი აქვს ტრანზიტის პრინციპს: იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა 1 და მოთხოვნა 2 ჯაჭვისებურად დაკავშირებული მოთხოვნების ერთ ჯგუფს ეკუთვნის, ხოლო მოთხოვნა 3 ასევე აღნიშნულ ჯგუფს განეკუთვნება, მოთხოვნა 1 და მოთხოვნა 3 ასევე ჯაჭვისებურად დაკავშირებულად ითვლება;
- კავშირის დარღვევისას ტრანზიტულობის პრინციპი არ ხორციელდება: იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა 1, მოთხოვნა 2 და მოთხოვნა 3 ჯაჭვისებურად დაკავშირებულ ერთ ჯგუფს ეკუთვნის, ჯგუფიდან მოთხოვნა 2-ის გამორიცხვა არ გამოიწვევს ჯაჭვისებური კავშირის ავტომატურ დარღვევას მოთხოვნა 1 და მოთხოვნა 3-ს შორის;
- დაუშვებელია მოთხოვნის ჯაჭვისებურად დაკავშირება, თუ ველის მნიშვნელობა „რემონტის დრო. დაწყება“ განეკუთვნება დაგეგმვის წარსულ პერიოდს (განხილვად გრაფიკთან დაკავშირებით).
- აკრძალულია დაგეგმვის და ოპერატიული მოთხოვნების ჯაჭვისებურად დაკავშირება;
- აკრძალულია ისეთი მოთხოვნის ჯაჭვისებურად დაკავშირება, რომელიც დამტკიცებულია ზემდგომი უწყებების მიერ.

6.1.5.4 რემონტის თავსებადობა და შეუთავსებლობა

ქვესისტემა АСУРЭО „რემონტის გეგმებით“ უზრუნველყოფილი უნდა იყოს რემონტის თავსებადობის და შეუთავსებლობის ცხრილების შექმნა.

შეუთავსებლობის ცხრილებში ხვდება აღჭურვილობის ის ერთეულები, რომელთა რემონტის ერთდროულად განხორციელებაც შეუძლებელია. შეუთავსებლობის ცხრილი საშუალებას იძლევა, განხორციელდეს კონტროლი იმ აღჭურვილობის სარემონტოდ ერთდროულად გატანაზე, რომელთა რემონტის თანხვედრა აკრძალულია ან არასასურველია რეჟიმის პირობების მიხედვით.

ქსელურ გრაფიკებთან მუშაობისას მომხმარებლის ინტერფეისში უზრუნველყოფილი უნდა იყოს შეუთავსებელი რემონტების გამოსახულების რეჟიმის ჩართვის (გამორთვის) შესაძლებლობები.

თავსებადობის ცხრილი მოიცავს ინფორმაციას ერთმანეთთან დაკავშირებლ აღჭურვილობის ერთეულებს, რომელთა რემონტიც ერთ ვადაში უნდა განხორციელდეს. პროგრამული კომპლექსი არ ახორციელებს კონტროლს აღჭურვილობის ერთეულებს შორის კავშირის სიმტკიცის და ასრულებს მრჩეველის როლს, რომელიც ახდენს რემონტის ვადების დროის თვალსაზრისით ოპტიმიზაციას.

6.1.6 მოთხოვნების დოკუმენტირების ქვესისტემასთან დაკავშირებით

6.1.6.1 საანგარიშო და სამუშაო დოკუმენტები

პროგრამულ კომპლექსში ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაძლებლობა, ინფორმაცია რემონტის გრაფიკების და აღჭურვილობის ერთეულების შესახებ მდგომარეობის შესახებ წარდგენილი იყოს სარემონტო კომპანიის სხვადასხვა საანგარიშო და სამუშაო დოკუმენტების ფარგლებში.

ამის გარდა, პროგრამულ კომპლექსში შესაძლებელი უნდა იყოს ანგარიშების მომზადება, რაც დაგეგმილი სამუშაოების და ფაქტობრივად განხორციელებული სამუშაოების მოცულობის ერთმანეთთან შედარების საშუალებას იძლევა.

პროგრამული კომპლექსი უზრუნველყოფს მონაცემების Excel და Microsoft Project ფორმატით ექსპორტის განხორციელების შესაძლებლობას.

6.1.6.2 ანგარიშების კონსტრუქტორი

პროგრამული კომპლექსით უზრუნველყოფილი უნდა იყოს სისტემის მომხმარებლის მიერ ანგარიშების დამოუკიდებლად მომზადება. მოცემული ფუნქციის მხარდასაჭერად გამოიყენება ჩაშენებული რედაქტორი FastReport.

6.1.7 მოთხოვნები მომხმარებლის მოქმედებების და სისტემის ინფორმაციის შესახებ ჩანაწერების გაკეთების შესახებ

